პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 156 (4150)

1970 წ. 11 აგვისტო, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## ა. მეტრეველი — ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი

სოფია, 9 აგვისტო. ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა II ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენების სრული ტრიუმფით დაგვირგვინდა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტმა ა. მეტრეველმა, რომელმაც ოქროს 3 მედალი მოიხვეჭა: ერთეულთა თანრიგში, შერეულ და ვაჟთა წყვილებში.

ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში რუმინელ მარმურიანუსთან გამარჯვების (6:4, 6:4, 6:4) შემდეგ, მეტრეველი უნგრელ ტ. ბარანიის შეხვდა და მასაც მოუგო — 6:0, 6:3, 6:2.

ქალთა შორის შესანიშნავად იასპარეზა მოსკოველმა ო. მოროზოვამ, რომელმაც მეოთხედფინალში სძლია უნგრელ სერენიის (6:1, 6:1), ნახევარფინალში — უნგრელ პოლგარს (6:3, 6:1), ხოლო ფინალში — ასევე უნგრელ კ. ბორკს — 6:4, 6:2.

ზემოაღნიშნული საბჭოთა ჩოგბურთელების შერეულმა წყვილმა ფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა ასევე საბჭოთა დუეტს — ე. იზოპაიტისსა და ს. ლიხაჩოვს — 7:9, 6:3, 6:2.

ოქროს მესამე მედალი მეტრეველმა ბაქოელ ლიხაჩოვთან ერთად მოიხვეჭა, როცა ფინალში დაამარცხა ტალინელი თ. ლეიუსისა და მოსკოველი ვ. კოროტკოვის წყვილი — 1:6, 7:5, 6:2, 6:3.

ქალთა წყვილების ფინალიც წმინდა საბჭოური იყო: ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მოროზოვა — კივი-პარმასი და იზოპაიტისი — კროშინა. გაიმარჯვა პირველმა დუეტმა — 6:2, 6:1.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მეტრეველი ასპარეზობისას.

## „ა" კლასში

9 აგვისტოს გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შეხვედრები „ა" კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

I ჯგუფი: „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 2:1, „კარპატი" (ლვოვი)— „მოლდოვა" (კიშინიოვი) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „პამირი" (დუშანბე) 0:0, ასკ (კიევი)— „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:0, „დაუგავა" (რიგა) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 4:1, „რუბინი" (ყაზანი) — „ყაირათი" (ალმაათა) 2:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) —ასკ (ხაბაროვსკი) 1:0.

II ჯგუფი, II ზონა: „სტალი" (ვოლგოგრადი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 2:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 2:1, „ლოკომოტივი" (კალუგა) — „სატურნი" (რიბინსკი) 0:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „მეტალურგი" (ტულა) — „ვოლგა" (კალინინი) 0:0, „დრუჟბა" (მაიკოპი)—„ვოლგა" (გორკი) 1:0, „მაშუკი" პიატიგორსკი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 0:1.

## რასისტები თამაშგარე მდგომარეობაში

ლონდონი, 8 აგვისტო. სამოყვარულო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელმა კომიტეტმა (ფიაკ) თავისი რიგებიდან გარიცხა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ველოსპორტის ფედერაცია, რომლის ხელმძღვანელები აშკარად ნერგავენ რასიზმს. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, რასისტები მონაწილეობას ვერ მიიღებენ ლესტერის მსოფლიო ჩემპიონატში. ამრიგად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საკმაოდ ძლიერი ველოსიპედისტები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

## 20 45

◆ ლესტერი, 10 აგვისტო. ინგლისის ამ ქალაქის 333-მეტრიან ტრეკზე მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში უხეიროდ იასპარეზეს სსრ კავშირის სპრინტერმა ვაჟებმა. მათგან საუკეთესომ — მოსკოველმა ა. პოლეტაევმა X ადგილი დაიკავა. მსოფლიოში უძლიერესი სპრინტერის სახელი ზედიზედ მეოთხედ მოიხვეჭა სპორტის ინსტრუქტორმა, 26 წლის დ. მორელონმა (საფრანგეთი). ვერცხლის მედალი ხვდა კოპენჰაგენელ პოლიციელს, 24 წლის პ. პედერსენს, ხოლო ბრინჯაო —გამოცდილ ველოსიპედისტს ჟ. კენტენს, რომელმაც სამი სერიიდან ორი მოუგო ბრიტანეთის თამაშების ჩემპიონს, 22 წლის ჯ. ნიკოლსონს (ავსტრალია). ქალთა სპრინტში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი გ. ცარიოვა. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა კვარტეტმა (ვ. ბიკოვი, ვ. კუზნეცოვი, ს. მოსკვინი და ა. სტეპანენკო) წინასწარ სერიებში მეხუთე შედეგი აჩვენა — 4.42,95. ჩეხოსლოვაკიელებთან შიდილში მან ეს მაჩვენებელი გააუმჯობესა (4.41,95) და მეოთხედფინალში გავიდა.

## ახალი ამბები

● დუბნა, 9 აგვისტო. დამთავრდა სსრ კავშირის VI პირველობა საწყლოსნო თხილამურებში. ვაჟებში იმარჯვა მოსკოველმა გ. გუსევმა, რომელმაც ოქროს 3 მედალი მოიგო. იგი საუკეთესო იყო სლალომში, ფიგურულ სრიალსა და ტრამპლინიდან ხტომაში. ქალებში ჩემპიონები გახდნენ: სლალომში — მ. ფილიმონოვა (რსფსრ), ფიგურულ სრიალში თ. გეუტი (უკრაინა), ტრამპლინიდან ხტომაში ი. ილინა (რსფსრ). გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მოსკოველებმა. საქართველოს გუნდი ბოლო, IX ადგილზეა.

● ბრიანსკი, 9 აგვისტო. მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის" პრიზის გათამაშების აქ გამართულ ნახევარფინალში იმარჯვა ლენინგრადის ვაჟთა გუნდმა. პირადი შედეგებიდან აღსანიშნავია ვ. კოზლოვის სიმაღლეზე ნახტომი (210 სმ), ვ. ვოიკინისა და ნ. ჩიჟოვას მაჩვენებლები ბირთვის კვრაში — 19,26, და 18,04 მ შესაბამისად.

● კიევი, 9 აგვისტო. სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით ავიამოდელისტთა შეჯიბრებაში დაძაბული გამოდგა პლანერების მოდელებით ასპარეზობა. მოდელმა ჰაერში 3 წუთს მაინც უნდა დაჰყოს. შვიდმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებითი ცდა მოსკოველმა გ. მარკოვმა მოიგო და ჩემპიონი გახდა.

● ოდესა, 9 აგვისტო. ჩაბანკოს სასროლეთზე მიმდინარე ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში 300 სპორტსმენი ჩაება. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან შავ სამიზნეებზე სროლაში ჩემპიონი გახდა ნ. სტოლიაროვა (შეიარაღებული ძალები), რომელმაც 300-დან 277 ქულა მოაგროვა და 2 ქულით აჯობა დოსააფელ ანდრეევას. სტოლიაროვამ იმარჯვა ამავე იარაღით 25 მეტრიდან შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაშიც — 591. პნევმატური შაშხანით ასპარეზობა მოიგო ნ. სოკოლოვამ (დოსააფი) — 367. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში ოქროს მედალი ვ. მარტიმიანოვას ერგო — 588. ვაჟთა შორის ჩემპიონები გახდნენ: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლაში (60+60) — ბ. ერმაკოვი („დინამო") — 1124 ქულა, არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) შეჯიბრებაში — ა. ბულგაკოვი (დოსააფი) — 567, პნევმატური შაშხანით ასპარეზობაში — ვ. რასკოვალოვი (შეიარაღებული ძალები) — 378. რევოლვერით შავ სამიზნეებზე 25 მეტრიდან სროლაში 23 წლის ა. კუზმინმა („დინამო") საკავშირო რეკორდი გაიმეორა — 594.

● პარიზი, 9 აგვისტო. ცნობილმა ფრანგმა სპორტსმენმა, 20 წლის კ. მანდონომ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 2.34,4. ეს მისი მეოთხე რეკორდია ბოლო კვირის მანძილზე და მეთხუთმეტე საერთოდ.

● მოსკოვი, 9 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. ერთადგილიანებით ასპარეზობაში ოქროს მედალი მოიპოვა რამაშკენე-შიდაგიტემ (კაუნასი) — 3.42,2, ვერცხლი ერგო ლენინგრადელ ფიოდოროვას — 3.47,0, ბრინჯაო ტომსკელ ველიჩკოს 3.47,2. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებაში იმარჯვეს სუსლინამ და კონდრაშინამ (ლენინგრადი) — 3.24,0. ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანებით ჩემპიონი გახდა გრუცოვას, გომოლკოს, ბოჩაროვასა და მარისკინას (მესაჭე გრონი) კვარტეტი — 3.18,0. ოთხადგილიანი გასაშლელებით რბოლაში ყველაზე სწრაფი გახლდათ ნოვგოროდელების ბისტროვას, სოცკოვას, აბრამოვასა და კოვალიოვას (მესაჭე ფროლოვა) ნავი — 3.23,4. რვიანებით შეჯიბრებაში კიევის გუნდმა (ბაკლიცკაია, რეშეტნიაკი, დანილინა, ლიტოვეცი, ანტონოვა, მარუდო, ბარინოვა, ჟიდოვინოვა, მესაჭე სიჩოვა) 3.01,6 აჩვენა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ნაკრებს 0,2 წამით მოუგო და ჩემპიონობაც დაისაკუთრა.

## ჩვენები — უძლიერესნი

რიგა. 9 აგვისტო. (ტელეფონით). ლატვიის დედაქალაქის ავტოდრომი სპორტის ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს მასპინძლობდა. კარტინგებით აქ გამართული შეჯიბრება სსრ კავშირის ჩემპიონატიც იყო. სარბიელზე გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო სპორტსმენები, რომელთა შორის ბევრი საერთაშორისო ტურნირებში ნაწრთობიც გახლდათ.

როგორც მოზარდთა, ისე ჭაბუკთა შორის გამარჯვებისთვის თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გაიმართა. თანდათან აშკარა გახდა, რომ საქართველოს დოსააფელებს ბადალი არ ჰყავდათ. ჭაბუკებში მცირელიტრაჟიანი მანქანის მართვის განსაკუთრებით კარგი ცოდნა და გაბედულება გამოიჩინეს სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რ. აკოფოვმა და რ. ხიდეშელმა. ხიდეშელი 50 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მანქანით ასპარეზობდა, აკოფოვი — „125-ანით". საბოლოოდ, აკოფოვმა ჩემპიონობა მოიპოვა, ხიდეშელმა კი III ადგილი. (ამ კლასში პირველი იყო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ა. შილინი).

საქართველოს სპორტსმენებმა მოზრდილებშიც 2 საპრიზო ადგილი მოიგეს: თ. ხიდეშელმა „175-ანებით" ტურნირში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა (მას მხოლოდ ერევნელმა ე. სრაპიონიანმა აჯობა), რ ზუკაკიშვილი კი, რომელიც „125-ანებით" ცდიდა ძალას, IV ადგილს დასჯერდა (აქ ჩემპიონი გახდა მასპინძელი ვ. ბორტნიეკი).

როცა საერთო გუნდური შედეგები შეჯამდა, პირველობა საქართველოს ნაკრებს მიეკუთვნა.



ლიდერი.

მ. თათარიშვილის ფოტო.

ვიურზბურგი, 9 აგვისტო. აქ გრძელდება გფრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატი. 18 წლის ვ. ამპემ ევროპის 2 ახალი რეკორდი დაამყარა: 800 მ თავისუფალი სტილით 8 წუთსა და 41,6 წამში გაცურა, რაც ფ. ლუისის (საფრანგეთი) ძველ რეკორდს 0,4 წამით სჯობს, შემდეგ 1500 მეტრზე თავისი თანამემამულე ჰ. ფასნაჰტის ძველ ევროპულ მიღწევას 8,2 წამი ჩამოაკლო. ახალი რეკორდია 16.23,9.

# უილბლო მემკვიდრე

მემკვიდრეობა სხვადასხვაგვარია — ზოგი სასურველი, ზოგი არასასურველი. მიხეილ ხაგბას ამ მხრივ აშკარად არ გაუღიმა ბედმა. მან „კოლმეურნის" მთელი რაისაბჭო მიიღო „მემკვიდრეობით", მაგრამ მაინც გულდაწყვეტილი დარჩა.

... კოლმეურნეობა „ლიხნის" სასოფლო იპოდრომზე საცხენოსნო-სპორტული კლუბის წევრები ვარჯიშობდნენ. მეცადინეობას ატარებდნენ მწვრთნელები ლ. პაპბა და ს. ჭანბა. აქ გამოირკვა, რომ კლუბში კოლმეურნეობების — „ლიხნისა" და „დურიფშის" სულ ათი ჭაბუკია გაერთიანებული. რამდენიმე სპორტის ოსტატი კლუბიდანაც გაირიცხა და რაიონის ნაკრები გუნდის შემადგენლობიდანაც. სექციები არარეგულარულად მუშაობენ.

კაცმა რომ თქვას, კოლმეურნეობა „დურიფშის" ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი სულაც არ მუშაობს. ათასში ერთხელ თუ მოიცლიან ფეხბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ.

გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია" სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის წინ წერდა, სოფლის სტადიონის მშენებლობა გაჭიანურდაო. ახლა როგორღაა საქმე? ცუდად. საცხენოსნო-სპორტულ კლუბში დღეისთვის 7 კაცი ითვლება (გუნდი 8 კაცისგან უნდა შედგებოდეს). კლუბი გაუგებარი მიზეზების გამო მიატოვეს მოწინავე სპორტსმენებმა, საკავშირო ასპარეზობათა ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ც. შაკრილმა, ასევე საკავშირო შეჯიბრების ოქროს მედალოსანმა ც. ტანიამ. მწვრთნელმა ს. ჭანბამ... სამნეო ნაწილის გამგედ დაიწყო მუშაობა.

კოლმეურნეობა „დურიფშს" ჰყავს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი (რ. ტარკილი), მაგრამ ხელმძღვანელობა ფიზკულტურელთა ინტერესებისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენს. სხვათა შორის, ამ ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის სპორტსმენები მეცხრე წელია ელიან სოფლის სტადიონის მშენებლობის დამთავრებას. მშენებლები საქმის გაჭიანურებას კოლმეურნეებს აბრალებენ, კოლმეურნეები — მშენებლებს, საერთო საქმისთვის საერთო ძალით ბრძოლა კი არავის სურს. კოლმეურნეობაში 229 ფიზკულტურელია, ნუთუ ამდენ ხალხში ერთი თაოსანი არ გამოჩნდა?

არადა, განა ცოტა კოლმეურნეობას აქვს შესანიშნავი ბაზები, ჰყავს საუკეთესო სპორტსმენები? აი, რა გვიამბო, მაგალითად, უზბეკეთის სსრ კოლმეურნეობა „პოლიტოტდელის" თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ხვანმა:

„მე, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებით უაღრესად დაინტერესებული ვარ. ჩვენ ბამბაც კარგად მოგვყავს, პურსაც, ხორცსაც ვამზადებთ და რძესაც, მაგრამ უყურადღებოდ არც სპორტის საზეობებს ვტოვებთ. მარტო ამ ბოლო ხანს კოლმეურნეობაში 22 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი აღიზარდა. გვყავს ფეხბურთელთა 8 გუნდი, მათგან ერთი კოლექტივი ქვეყნის ჩემპიონატში გამოდის „ა" კლასში. კოლმეურნეობას აქვს ორი სტადიონი, ფეხბურთის თრი საწვრთნელი მინდორი, სამი სპორტდარბაზი. ყველა საკოლმეურნეო უბანზეა მოწყობილი მოედნები, სადაც თამაშობენ კალათბურთს, ფრენბურთს და ა. შ. ბოლო ხამი წლის მანძილზე კოლმეურნეობამ მილიონ მანეთზე მეტი მოახმარა სპორტულ მშენებლობას. დაგეგმილი გვაქვს საცურაო აუზისა და კომფორტული დარბაზის მშენებლობა. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ახლა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩვენი 1750 კოლმეურნეა ჩაბმული".

აი, ეს არის ნამდვილი სახელმწიფოებრივი მიდგომა ფიზიკური კულტურისადმი.

ახლა კი ისევ აფხაზეთის კოლმეურნეობებს დავუბრუნდეთ. სოფელ აჩანდარის მე-19 პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. გუმბა) ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. სხვათა შორის, ერთხელ აქაური ფეხბურთელები სოფელ აბგარხუკში მიიწვიეს სათამაშოდ. მიიწვიეს, მაგრამ სტუმრებს დიდხანს ამაოდ ელოდნენ. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ვ. ჯენიას კატეგორიული უარი უთქვამს სპორტსმენებისთვის ტრანსპორტის გამოყოფაზე. მერე ფეხბურთელები გზად გამვლელ მანქანას გაჰყოლიან და მატჩში გამარჯვებაც მოუპოვებიათ, მაგრამ წყენა მაინც წყენად დარჩენილა. ამ სოფელში სტადიონი აქვთ, მაგრამ ფეხბურთელებს თამაშის უფლებას არ აძლევენ: მინდორზე კარგი ბალახი იზრდება. წელიწადში ორჯერ ვთიბავთ და ფეხბურთელები გააფუჭებენო. ძალზე „საპატიო" მიზეზია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ა. ხაგბა, რომელიც კოლმეურნეობის საერთო კრებამ დანიშნა ამ თანამდებობაზე, რატომღაც გაათავისუფლეს.

ზარშან გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობებში 7 მეთოდისტი იყო, ახლა ეს რიცხვი 3-მდე შემცირდა. ადრე ყველა იხდიდა იურიდიულ საწევრო შენატანს, ახლა 21 კოლმეურნეობიდან 17-მა დაივიწყა ეს ვალი.

აი, რა მემკვიდრეობა მიიღო „კოლმეურნის" გუდაუთის რაისაბჭოს ახლანდელმა თავმჯდომარემ მ. ხაგბამ. ალბათ ამიტომაც ირჯება ასე დინჯად: ნახევარი წლის მანძილზე რაისაბჭომ გეგმით გათვალისწინებული 361-ის ნაცვლად 58 თანრიგოსანი მოამზადა. ჩატარდა მხოლოდ მოზარდთა პირველობა, რომელშიც 21 გუნდიდან სულ 4 კოლექტივი მონაწილეობდა. მძლეოსნობაში მარტო კროსს დასჯერდნენ და რატომღაც ამ შეჯიბრების ოქმებიც არ გვიჩვენეს.

ასე საქმე წინ არ წავა.

ვ. ბუკიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გუდაუთა.

# კოცონთან — მეგობრები

80 ტურისტულ კარავს „სპარტაკის" დროშა დაჰფრიალებდა. პატარა ზღაპრულ ქალაქს მოგაგონებდათ ბუნების წიაღში ლამაზად ჩარიგებული ეს კარვები. „მეგობრობის ქალაქი" — ასე უწოდეს მათ მოძმე რესპუბლიკების — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც ამას წინათ ტრადიციულ ტურისტულ შეკრებაზე მოიყარეს თავი ბეთანიის თვალწარმტაც მიდამოებში.

ეს შესანიშნავი ღონისძიება „სპარტაკის" ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოების თაოსნობით ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკებში. წლევანდელი შეკრების ადგილად საქართველო იყო დათქმული.

— არც ერთი შეკრება არ ყოფილა ასეთი ხალხმრავალი. დღეს აქ დაბანაკებულია 250-მდე ტურისტი, — გვითხრა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ გ. ზაალიშვილმა.

ტურისტთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლაღობდნენ ძველი მეგობრები და ახლად გაცნობილები. ზაფხულის გრძელი დღის გვიანმა ბინდმა „ქალაქის" შუაგულში ვეებერთელა კოცონთან შეყარა ტურისტთა არმია. გაჩაღდა შეჯიბრება, თავს არავინ ზოგავდა შეკრების ორგანიზატორთა მიერ თვითშემოქმედებაში დაწესებული სპეციალური სიგელების მოსაპოვებლად.

სპორტული პაექრობა მეორე დღეს იყო დანიშნული. წინა წლებისგან განსხვავებით (შეჯიბრებები ადრე ტურისტულ ორიენტირებაში ტარდებოდა). ასპარეზობა ამჟამად ტურისტულ მრავალჭიდში იყო დაგეგმილი. სპორტსმენებს ამანათით (ზურგჩანთა) 3-კილომეტრიან დისტანციაზე სხვადასხვა სირთულის 6 ეტაპი უნდა დაეძლიათ. პროგრამაში შედიოდა 12-მეტრიან კლდეზე ცოცვა, ჭაობის გადალახვა, ხელყუმბარის ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა და სხვ.

სტარტი 40 გუნდმა აიღო. დილიდან საღამომდე ხმიანობდა ბეთანიის ტყის ბილიკები. მერე დიდი მუხის ჩრდილში დაბანაკებულ შტაბში გულდასმით შეაჯამეს შედეგები. გამარჯვება თბილისის სპორტკლუბ „სინათლის" წარმომადგენლებს მიაკუთვნეს. ამ კლუბის წევრებმა ტრასა 15 წუთში დაფარეს და არც ერთ ეტაპზე არ დაჯარიმებულან. გამარჯვებულთ საზეიმოდ გადასცეს თასი და დიპლომები.

„სინათლის" გუნდის კაპიტანს, სპორტის ოსტატ ლ. გოგეშვილს ვკითხეთ:

— ბევრჯერ გვსმენია თქვენი კოლექტივის გამარჯვება. რა განაპირობებს ამ წარმატებებს?

— მასობრიობა. ტურიზმი კლუბში ყველას უყვარს. მათ შორის არიან ცნობილი მძლეოსნებიც. რჩეულებმა კი აი, დღესაც გვასახელეს.

პირველი სექცია ჩვენთან 8 წლის წინათ ჩამოყალიბდა. ეჩოხაწილეობდით ბაქოში, ალუშტასა და ერევანში გამართულ შეჯიბრებებში, გამოცდილება არ გვაკლია... „სინათლესთან" 4 წუთით წაგება არ გვანაღვლიანებს. გამარჯვება მართლაც ღირსეულს ხვდა, — გვეუბნება პირველობის მეორე პრიზიორის — თბილისის ელექტროქსელის ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. გამცემლაშვილი. ინსტრუქტორი იქვე გვაცნობს 8 წლის წინათ შექმნილი პირველი სექციის წევრებს, მოწინავე სპორტსმენებს: გარეგანათების ოსტატ ა. ნოზაძეს, ელექტრომონტიორ თ. ლომჯანიძეს, უფროს კონტროლიორ ც. ქვარცხავას და სხვ.

კმაყოფილი დარჩნენ ერევნის აეროკლუბის ტურისტებიც. ასპარეზობაში მათ დიდი გამოცდილება მიიღეს და III საპრიზო ადგილიც დაისაკუთრეს.

შეკრების საზეიმოდ დახურვისას ამიერკავკასიის „სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭოებმა და ცალკეულმა კოლექტივებმა სამახსოვრო ვიმპელები უძღვნეს ერთმანეთს, თბილისის ელექტროქსელის წარმომადგენლებმა კი სომხეთის ტურისტებს მეგობრობის სიმბოლოდ სპეციალური თასი გადასცეს.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბეთანია.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ელექტროქსელის წარმომადგენლები კარავს შლიან.

ავტორის ფოტო.





# დანაკლისის მიუხედავად

უფა, 9 აგვისტო (ტელეფონით). დამთავრდა სპორტის ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში, რომელიც, ამავე დროს, საკავშირო ჩემპიონატიც იყო. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ჯერ გუნდური ტურნირი გაიმართა. მას უძლიერესი კოლექტივები და პირადი შეჯიბრების ფინალისტები უნდა გამოევლინა. და აი, გუშინ და დღეს სპორტსმენები პირად ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ.

გუნდურ ტურნირში ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი საქართველოს კოლექტივი იყო. მან შესანიშნავად დაიწყო: ევროპის ჩემპიონმა ვ. კლიმენტიევმა, იუნიორებში ქვეყნის ჩემპიონმა ვ. გორდეევმა, აგრეთვე, მ. კრასნოვმა და ს. ლიომინიდიმ სსრ კავშირის საუკეთესო სპიდვეისტებთან ბრძოლაში ხელთ იგდეს ლიდერობა, მაგრამ ერთ-ერთი ცდისას კლიმენტიევს მარცხი მოუვიდა, — ვირაჟზე წაიქცა და რომელიღაც ჩამორჩენილმა მას ფეხებზე გადაუარა. კლიმენტიევმა ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და, ცხადია, პირად ტურნირში ფინალში გასვლის იმედსაც გამოეთხოვა.

და მაინც, საქართველოს გუნდმა საერთო ჩათვლაში III ადგილი მოიპოვა. პირველობა ლატვიის მოტოციკლისტებს ხვდათ, II ადგილი — რსფსრ-ს წარმომადგენლებს.

პირად შეჯიბრებაში შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად სპორტსმენები ერთმანეთს ორ დღეს ეპაექრებოდნენ. თითოეული მათგანი სტარტზე 5-5-ჯერ უნდა გამოსულიყო. თავიდან მასპინძელი გ. კურილენკო დაწინაურდა: 5-დან მხოლოდ ერთი ცდა წააგო და 15 შესაძლებლიდან 14 ქულით ლიდერი გახდა. გორდეევიც ლიდერთა სამეულში იყო.

გორდეევი მეორე დღეს უფრო გაბედულად იბრძოდა, მაგრამ კურილენკოს (30-დან 27 ქულა) ჩამოტოვება ვერ შეძლო, საბოლოოდ მასთან ქულა წააგო და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ბრინჯაო ერგო ა. პეტროვსკის (ლატვია). თბილისელი კრასნოვი VI ადგილზეა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. გორდეევი.

ო. გელაშვილის ფოტო.

### ✦ ბათუმი

ლენინის სახელობის პიონერთა პარკში კარგად მუშაობს ი. ჯინჭარაძის სახელობის პიონერთა ბანაკი. ახლახან აქ საინტერესო ღონისძიება მოაწყვეს: აჭარის ჩემპიონმა ჭადრაკში, ოსტატობის კანდიდატმა გ. ჭანტურიამ ნორჩებისთვის ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა. ნორჩები ხშირად დადიან ექსკურსიებსა და ლაშქრობებში.

რ. ბოლქვაძე,
ვ. მაისურაძე.

### ✦ ზუგდიდი

ანაკლიაში სანიმუშოდ არის მოწყობილი სატყეო, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა რესპუბლიკური ბანაკი. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას: ხშირად იმართება შიდასაბანაკო შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში, ჭადრაკში და შაშში. ახლახან ნორჩებმა ჩაატარეს მტყორცნელისა და მორბენლის დღე, შიდასაბანაკო სპარტაკიადა, მოეწყო ლაშქრობა სალხინოს მთაზე...

ჯ. ფიფია.

# სპარტაკიადის პროგრამით

გაიმართა ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ველოსიპედისტთა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებები ხობის რაიონის სპარტაკიადის პროგრამით.

ფრენბურთში უძლიერესი აღმოჩნდა ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი, თავისუფალ ჭიდაობაში — ნოჯიხევის № 30 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. თოდუა, გ. ყორშია, ს. სანიკიძე, ვ. გორზოლია (ყველა — პროფტექნიკური სასწავლებელი), ა. სანაია (ხეთა), გ. ყორშია (ნოჯიხევი), გ. სერგია (ახალსოფელი).

კალათბურთელთა ტურნირი მოიგო ხობის მეურნეობა „კოლხეთის" გუნდმა. II და III ადგილები დაიკავეს 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობისა და ნოჯიხევის № 30 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივებმა.

სასწავლებლის სპორტსმენები უძლიერესები იყვნენ ველოსიპედისტთა გუნდურ ასპარეზობაში. პირად ჩათვლაში იმარჯვა გ. ყორშიამ (პროფტექნიკური სასწავლებელი).

პ. სანიკიძე,
ხობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# მეხუთე გადაუდგმელი ნაბიჯი



მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (1:0).

**მოსკოვი:** იაშინი, შტაპოვი, სმირნოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ეშტრეკოვი, კოზლოვი, ავრუცკი (სიომინი), უტკინი, ევრიუჟიხინი.

**თბილისი:** ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე (ილიადი), ხურცილავა, ცხოვრებოვი (ხინჩაგაშვილი), პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მაჩაიძე, გ. ნოდია, გავაშელი.

არბიტრი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა), გვერდითი მსაჯები — ა. ივანოვი (ლენინგრადი), ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

ჯერ სტატისტიკის შესახებ. ვინ მოთვლის, რა ციფრები, რა საინტერესო ამბები არ ამოქექეს თასის ისტორიის დახლართული ლაბირინთებიდან სტატისტიკოსებმა. მოძებნეს ყველაფერი, თუ კი რამე ინახებოდა საბჭოთა ფეხბურთის ამ ორი ვეტერანი გუნდის, ორი უძველესი მეტოქის — მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა ხათაბთ ურთიერთობებიდან.

დღის სინათლეზე უპირველეს ყოვლისა ის იქნა გამოტანილი, რომ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები 33 წლის წინ — 1937 წლის 16 ივლისს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში. მაშინ მოსკოველებმა მოგვიგეს — 5:2. მას შემდეგ მათ კიდევ სამჯერ გაიმარჯვეს და სამივეჯერ მოსკოვში, ხოლო თბილისელებმა გაიმარჯვეს ორჯერ — მოსკოვშიც და თბილისშიც.

მოსკოველები სულ რვაჯერ გავიდნენ თასის ფინალში და პრიზი მოიგეს სამჯერ. თბილისელთათვის წლევანდელი ფინალი რიგით მეხუთე იყო, გადამწყვეტ მატჩებში კი გამარჯვება მათ არ უწერიათ.

ე. ი. სტატისტიკა, ასე ვთქვათ, მოსკოველთა სასარგებლოდ იყო.

ახლა პროგნოზის შესახებ.

ესეც მოსკოველებს უჭერდა მხარს. უმეტესობა ამტკიცებდა, რომ ისინი ახლა უფრო უკეთეს ფორმაში არიან, უფრო თანაბრად ჰყავთ დაკომპლექტებული ყველა ხაზი, მეტი შანსი აქვთ შინ, ლუჟნიკის მინდორზე.

მაგრამ ყველა პროგნოზისტი ერთხულოვნად იმეორებდა, რომ თუ თბილისის „დინამო“ აფეთქდა, მაშინ მის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულესი საქმეა. იხსენებდნენ ორ ყველაზე დაძაბულ, ყველაზე ლამაზ ფინალურ მატჩს სსრ კავშირის თასის ისტორიაში 1946 და 1960 წლებისას, როცა სამხრეთელთა გუნდს თითქმის ხელთა ჰქონდა ვერცხლით მოსევადებული ბროლის თასი.

მაგრამ რა იცოდნენ წინასწარმეტყველებმა, თუ რა ხდებოდა თბილისის „დინამოში“ მატჩის წინ!

თამაშამდე ორი დღით ადრე ავად გახდა მეტრეველი. თავდასხმის გამოცდილი, გამობრძმედილი ლიდერის გამოკლება ასეთ მატჩში დიდზე დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ დადგინდა, რომ ვერ ითამაშებდა ლ. ნოდიაც, რომელიც ახლა ჩვენი თავდასხმის ყველაზე აგრესიულ, ეფექტურ ხაზილს წარმოადგენს. ლ. ნოდია ბაქოს „ნევთჩისთან“ ნახევარფინალურ მატჩში დაშავდა — ეს „მეგობრული“ სამსახური ჩვენ ბაქოელთა ცენტრალურმა მცველმა ვ. ბრუხტიმ გაგვიწია, რომელმაც უხეშად დაამტვრია ფეხი ჩვენს მარცხენა გარემარბს.

ეს ისეთი აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო, რომ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელთა წინაშე დადგა არა მარტო ამ ორი ფეხბურთელის, არამედ გუნდის სამოქმედო სქემის, ტაქტიკური გეგმის მთლიანად შეცვლის საკითხი. ცვლილება უნდა მომხდარიყო არა რომელიმე ცალკე დეტალში, არამედ რადიკალური, საფუძვლიანი: გუნდს ახალი ტაქტიკა უნდა მოეშველებინა.

მე არ მახსოვს, რომ თბილისის „დინამოს“ ოდესმე ეთამაშა ორი თავდამსხმელით, ახლა კი იგი იძულებული იყო ისეთ საპასუხისმგებლო მატჩში, როგორიცაა თასის ფინალი, მიემართა წმინდა ინგლისური სისტემისთვის 4-4-2, არა, როგორც იტყვიან, კარგი ცხოვრებისგან, არამედ გაჭირვების გამო. ექსპერიმენტი იძულებითი იყო.

აი, ასეთ ვითარებაში შეუდგა თბილისის „დინამო“ ფინალურ მატჩს. ამინდი საუცხოო იდგა, 103 ათასი მაყურებელი ელოდა ბრძოლას, სტადიონის გვება ტაბლოებზე ეწერა: „მხურვალე სალამი მზიური საქართველოს ფეხბურთელებს!“.

სტატისტიკოსებს შეუნიშნავთ, რომ ფინალს იგებს ის, ვინც ღია ფერის მაისურებში გამოდის. მაგრამ ეს ნიშანი ამჯერად არ გამოდგა: მოსკოველები მინდორზე ლურჯი მაისურებით გამოვიდნენ, თბილისელები — ზოლებიანით.

ზუსტად 17 საათზე ვ. ტოლჩინსკიმ მისცა სტარტის ნიშანი. კ. ასათიანმა ბურთი თამაშში შეიყვანა...

## 1-15 წუთები

თბილისელებმა მარცხენა ფრთაზე შეუტიეს და ორჯერ მოაწოდეს აუტი. გარღვევაზე გასული ასათიანი ხელით დაიჭირა უტკინმა. საჯარიმო დარტყმიდან გათამაშებული ბურთი აიღო იაშინმა.

ერთხანს თამაში შუა მინდორზე მიმდინარეობს, შემდეგ მოსკოველები მოულოდნელად, სწრაფად ახორციელებენ იერიშს, ეშტრეკოვი ფინტით უკან იტოვებს ცხოვრებოვს, აწვდის ავრუცკის და ხურცილავა ძლივს იგერიებს ბურთს.

მოსკოველები ამ პერიოდში ინერტულად გამოიყურებიან, თითქოს რაღაცის მოლოდინში არიან. თბილისელები პირველნი ეუფლებიან ინიციატივას, თუმცა ბურთის გათამაშებას შუა მინდორში დიდხანს უნდებიან. ამ ზონაში განსაკუთრებით გამოირჩევა ასათიანი, რომელსაც ხშირად რამდენიმე კაცი ვერ ართმევს ბურთს. მის ერთ-ერთ დარტყმას იღებს იაშინი.

უცებ — მასპინძელთა შეტევა. ისევ ეშტრეკოვია გარღვევაზე, ევრიუჟიხინი კარგი მდგომარეობიდან აცილებს მიზანს.

პეტრიაშვილი აწვდის კუთხურს. იაშინი ადგილზეა.

ტერიტორიული უპირატესობა ისევ თბილისელთა მხარესაა, მაგრამ მოსკოველებს უფრო ზუსტი გადაცემები აქვთ და მათი კონტრშეტევაც სწრაფი და სახიფათოა.

ცხოვრებოვი ვერაფერს ახერხებს ეშტრეკოვის წინააღმდეგ. მასპინძლებმა მაშინვე მიაგნეს ამ გასაღებს და თავიანთი მარჯვენა გარემარბის მეშვეობით ზედიზედ გადიან მეტოქის კართან.

## 16-30 წუთები

კუტივაძემ კარიდან 23-25 მეტრის დაცილებით წააქცია ევრიუჟიხინი. ჯარიმა. მასლოვმა ბურთი მარჯვენა მხარეს გადასცა, ეშტრეკოვისკენ. თბილისელთაგან ვიღაცამ მოიგერია იგი, მაგრამ ბურთი მაინც მოხვდა ეშტრეკოვთან. ცხოვრებოვი წამში იქნა უკან მოტოვებული, დარტყმა.

ურუშაძემ ვერ გამოზომა ბურთის მიმართულება, ხელი მოარტყა მას და თავისივე ბადეში გაგზავნა — 1:0.

ეს მოხდა მე-17 წუთზე. გოლი იყო მოულოდნელი, დასანანი, მეკარის აშკარა შეცდომის შედეგი. მიუხედავად ამისა, მას არ შეუტანია დეზორგანიზაცია თბილისელთა რიგებში. პირიქით. გუნდი ისევ აქტიურად მოქმედებს, მტკიცედ ფლობს მინდვრის შუაგულს, მაგრამ წინა ხაზზე არავითარ ხიფათს არ ქმნიან ნოდია და გავაშელი. პირველი ვერ პოულობს ადგილს შეტევის დასამთავრებლად ან კომბინაციის გასათამაშებლად, მეორე კი, უბრალოდ, არავის აძლევს ბურთს: მიიღებს, ატარებს, კარგავს, შემდეგ ისევ ატარებს. უმიზნოდ, უშედეგოდ, ყოველგვარი გეგმის საწინააღმდეგოდ.

მოსკოველები კვლავ და კვლავ ათამაშებენ ეშტრეკოვს და აქედანაც აუარებელი გადაცემა მიდის ცენტრში. ჭელიძე ვერ ეხმარება ცხოვრებოვს და თვითონაც ხშირად უშვებს შეცდომას. თამაშის მთელი სიმძიმე ნახევარმცველებზეა, სადაც ყველა კარგად თამაშობს. დიდ სამუშაოს ასრულებს მაჩაიძე.

## 30-45 წუთები

მასპინძლები რამდენიმე ძალიან მწვავე შეტევას ახორციელებენ. ანიჩკინს კარის წინ გაჰყავს კოზლოვი, ურუშაძე იღებს ეშტრეკოვის დარტყმას დაბალ კუთხეში, კოზლოვი ორჯერ უგებს ჭელიძეს. ეშტრეკოვი ისევ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონია თავის ფლანგზე.

თბილისელთა დაცვა, უმთავრესად, ხურცილავა და ძოძუაშვილი, გაჭირვებით უმკლავდება მოპირდაპირე ფორვარდებს და მხოლოდ ტაიმის დასასრულს სწორდება მდგომარეობა.

კუტივაძე კარგად ურტყამს შორიდან, პეტრიაშვილი ცდილობს გაიხსნას და ბურთი მიიღოს გავაშელისგან, მაგრამ ამაოდ.

კარგი კომბინაცია გაითამაშეს მაჩაიძე — კუტივაძე — ასათიანმა. დარტყმა აცდა კარს.

## 46-60 წუთები

ხინჩაგაშვილმა შეცვალა ცხოვრებოვი და ეშტრეკოვის პარპაშსაც ბოლო მოეღო: მისი რეიდები ამოიწურა. თუ არ ვცდებით, მოსკოველმა ერთი ან ორი უმნიშვნელო მანევრის შესრულება შეძლო მხოლოდ, სხვა შემთხვევებში ხინჩაგაშვილი მას პირწმინდად უმკლავდებოდა.

მოსკოველებმა მაინც შეძლეს ეფექტური შემტევი მოთამაშის მონახვა. ესაა ზიკოვი, რომელიც სწრაფად გადმოდის წინა ხაზზე და საიერიშო კომბინაციებში მონაწილეობს. გავაშელი და ნოდია არც ცდილობენ გამოჰყვნენ ზიკოვს, არ გამოიყენონ მისი ეს სისტემატური ექსკურსიები და თვითონ შექმნან კონტრშეტევა. თამაშის მთელი სიმძიმე ისევ ნახევარმცველებს აწევთ, მაგრამ ეშტრეკოვის „ლიკვიდაციის“ შემდეგ მათ დიდი დახმარება აქვთ ხინჩაგაშვილის, ხურცილავასა და ძოძუაშვილის მხრივ.

ორჯერ აქვთ მომენტი მაჩაიძესა და გავაშელს: პირველისგან ბურთს იაშინი იღებს, მეორე აუტში ურტყამს.

ცოტა ხანში ჭელიძე შეცდომას უშვებს, შემდეგ ეწევა კოზლოვს და ორივე ეცემა საჯარიმო მოედნის ფარგლებში. მოსკოველები პენალტს თხოულობენ, მაგრამ ვ. ტოლჩინსკი გადაჭრით აჩვენებს, რომ ბრძოლა წარმოებდა ბურთისთვის და არა კაცისთვის.

თბილისელთა შორის ასათიანი კვლავ ყველაზე სახიფათო და ეფექტურია. მას თამამად მიჰყავს გუნდი შეტევაზე, იაშინი გამუდმებით საქმეშია ჩაბმული. კუტივაძის დარტყმა ოდნავ ცდება კარს, იაშინი კი ამ მომენტში მხოლოდ უყურებს ბურთს.

## 60-75 წუთები

ზიკოვი ისევ წინ გამოდის. იგი აწვდის კოზლოვს, მერე ბურთი მარჯვენა ფრთაზეა, უბრუნდება ცენტრს და აქ ხვდება ევრიუჟიხინთან. მის წინ ჭელიძეა. მოსკოველი წამით ჩერდება და მერე გამოზომილად ურტყამს კარში. ბურთი არაა ძნელი ასაღები, მაგრამ ურუშაძეს უსწორო პოზიცია უკავია კარის წინ და ვერ წვდება მას. ეს მოხდა 62-ე წუთზე.

0:2. მატჩი არსებითად დასასრულს უახლოვდება. რისი ხსნა შეიძლება?

მაგრამ თბილისელები სულ უფრო უმატებენ ტემპს, აძლიერებენ შეტევას. 66-ე წუთია. მასპინძელთა კართან დიდი არეულობაა. მცველები თავგამოდებით იბრძვიან, ცდილობენ ბურთის მოგერიებას, იაშინის წინ 12-13 კაცია. ამ მომენტში ბურთი ხვდება ხინჩაგაშვილთან და ისიც უდიდესი ძალით, ზუსტად, მკვეთრად ურტყამს... ბურთი ისეთი სისწრაფით გადის „ცხრიანში“, რომ ჩვენ, ტრიბუნებზე მსხდარნი, მხოლოდ გარკვეული ინტერვალის შემდეგ აღვიქვამთ გოლს. იაშინის თავგანწირული ნახტომი მხოლოდ მეკარის ფორმალური ვალის მოხდაა. ბურთი ტყვიასავით გადის კარში — 1:2.

ისახება მატჩის ხსნის რეალური კონტურები. თბილისელები გადამწყვეტ შტურმზე გადადიან, ნახევარმცველები არ სცილდებიან მეტოქის საჯარიმო მოედანს, დარტყმა დარტყმას მოსდევს, მოსკოველთა დაცვა შველას თხოვს თავის თავდასხმას, ზედიზედ ინიშნება საჯარიმოები, კუთხურები...

ჭელიძის ნაცვლად მინდორზე გამოდის ილიადი. შეტევა კიდევ უფრო ძლიერდება.

## 75-90 წუთები

ხინჩაგაშვილის დარტყმას გაჭირვებით იღებს იაშინი. მოსკოველები კიდევ ერთხელ აგზავნიან წინ ზიკოვს, მაგრამ მას სასწრაფოდ უხდება უკან დაბრუნება, ვინაიდან მასპინძელთა კართან დიდი საშიშროებაა. ძოძუაშვილი მოსკოველთა საჯარიმო მოედანზეა და შორეულ კუთხეში ურტყამს. იაშინი ძლივ წვდება ბურთს, მაგრამ იგი სულ ცოტათი, რამდენიმე სანტიმეტრით ცდება ძელს. ილიადი, ხურცილავა მაღალ ბურთებს აწვდიან კართან. მოსკოველები კარგა ხანია ცდილობენ გაიყვანონ დრო, აჩერებენ თამაშს, საჯარიმოების დროს არ იცავენ 9-მეტრიან დისტანციას. საქმე იქამდეც მიდის, რომ იაშინი და სიომინი მინდვრის გარეთ მყოფ ბავშვებს თხოვენ — ნელა მოგვაწოდეთო ბურთი.

ბოლო 10 წუთი მთლიანად თბილისელებისაა, მასპინძელთა კართან სახიფათო მომენტებია, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უწერია ჩვენთვის სასურველი ბედი.

დრო ამოიწურა. მატჩი, თბილისის „დინამოს“ მეხუთე ფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე წაგებულ იქნა.

* * *

რა თქმა უნდა, ეს არ იყო წასაგები თამაში. თუ პირველ ტაიმში ჩვენს საერთო ტერიტორიულ უპირატესობას არ ჰქონდა საგოლე დაბოლოება, მეორე ტაიმში, განსაკუთრებით მის დასასრულს, ამ უპირატესობას დაემატა კონკრეტული შესაძლებლობანი, როცა გოლის გატანა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, მოსკოველები კი გადაურჩნენ მარცხს.

მაგრამ ჩვენს წაგებას გარკვეული მიზეზები აქვს.

ჩვენი პირველი პრეტენზიები ეხება თავდამსხმელებს გ. ნოდიასა და გავაშელს. ორივე გამოცდილი ფორვარდია და იცის, თუ რა მოვალეობა ეკისრებოდათ მათ გუნდის ახალი განლაგებისას (4-4-2). გ. ნოდიაზე ვერ ვიტყვით, რომ არ ცდილობდა, ან დაიზარა თამაში, მაგრამ მექსიკიდან, უფრო სწორად, ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ, იგი როგორღაც ამოვარდა ფორმიდან, დაკარგა ის თვისებები, რომლებიც მას ასე საშიშს ხდიდა ყველა მეტოქისთვის. გ. ნოდია ხშირად კარგავს ბურთს, აგვიანებს მცველთან ბრძოლას და კართანაც ვეღარაა უწინდებურად ალღოიანი.

გავაშელს კი არ ეპატიება. ყოვლად გაუმართლებელია მისი უკიდურესი ინდივიდუალიზმი, პარტნიორების უგულებელყოფა, გამოთიშვა კომბინაციური თამაშიდან. დრიბლინგი საერთო ტაქტიკური გეგმის ნაწილია და არა თვითმიზანი, ის კი, რასაც ახლა გავაშელი აკეთებს, არის არა დრიბლინგი, არამედ ბურთის გაუთავებელი, ყოვლად გაუმართლებელი, უმიზნო ტარება, უფრო სწორად — დაკარგვა.

გარდა ამისა, ბურთისთვის ბრძოლა საჭიროა ყოველთვის და ყველგან, მით უმეტეს, როცა იგი შენ გქონდა და წაგართვეს. გავაშელი კი ბურთის დაკარგვისას, რაც სისტემატურად ხდება, მაშინვე ნეიტრალური კაცის პოზას ღებულობს და არ ერევა ბრძოლაში, თუმცა მშვენივრად ხედავს, რომ ბურთის წამრთმევი მოთამაშე იმ მომენტში ფაქტიურად შემტევ ერთეულად იქცა. ასეთი ჩაურევლობის შემთხვევაში სხვას დამატებით უხდება გავაშელის ფუნქციებისა და შრომის აღება თავის თავზე. პარადოქსია: პელე თავგამოდებით მისდევს მოწინააღმდეგეს, როცა მას ბურთს წაართმევენ, გავაშელი კი ამას არ კადრულობს.

ჩვენს ნახევარმცველებს წუნი არა ჰქონდათ. სწორედ ამ რგოლმა მისცა ტონი თამაშს და საიმედოდ აიღო ხელთ სადავეები. დარწმუნებული ვართ, წინ მეტრეველი და ლ. ნოდია რომ ყოფილიყვნენ, სულ სხვა ამბები მოხდებოდა. ყველა ნახევარმცველი, განსაკუთრებით, ასათიანი, შესანიშნავად თამაშობდა.

დაცვაში იყო გარკვეული ხარვეზები. ეს არ ეხება ძოძუაშვილს, ხურცილავას და ხინჩაგაშვილს. ძალიან სუსტად ითამაშა ცხოვრებოვმა, რომელიც ეშტრეკოვის სრულ „გამგებლობაში“ აღმოჩნდა და, ჭელიძემაც. ამ უკანასკნელისთვის მძიმე ტრავმისა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ეს მეორე მატჩი იყო, ამიტომ იგი ასეთი დაძაბული ბრძოლისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა.

ურუშაძე ორივე გაშვებულ გოლში დამნაშავეა, თუმცა მას სხვა დროს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

ვ. ტოლჩინსკიმ საუცხოოდ ჩაატარა მატჩი და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მადლობის ღირსნი არიან მაყურებლებიც, რომლებმაც გულთბილად და ობიექტურად მიიღეს ჩვენი ფეხბურთელები.

დაბოლოს ისღა დაგვრჩენია, რომ მოსკოვის „დინამოს“ წლეულს ჩემპიონობის მოპოვებაც ვუსურვოთ. მაშინ ჩვენ, როგორც თასის ფინალისტები, გაისად მონაწილეობას მივიღებთ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

**გ. ქორქია.**
(ჩვენი სპეც. კორ.).



## სსრ კავშირის პირველობა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

როგორც დადგინდა, ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და დონეცკის „შახტიორის“ კალენდარულ მატჩში პირველი გოლი დონეცკელთა კარში გაიტანა საბომ და არა სემიონოვმა, როგორც ადრე ვიუწყებოდით.

ჩვენი გაზეთის 8 აგვისტოს ნომერში „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების მატჩების ტექნიკური შედეგების პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „5 აგვისტოს გაიმართა II ჯგუფის II ზონის“ და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

I ჯგუფი „ა“ კლასი

# ბოლო წუთზე

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9 აგვისტო.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:0 (0:0).

**„ლოკომოტივი“:** ბერიძე, გოგიჯანაშვილი, პანოვი, ქელეხიძე, ფილია, ძაგანია, ჯორბენაძე, მაზიაშვილი (ყიფიანი), ბახტაძე, ხუციშვილი, ჭელიძე (შხვაცაბაია).

**„ალგა“:** უდოვიჩენკო, სულთანოვი, ვასილიევი (აგეევი), ვოლკოვი, მატიუშენკო, კოხიხი, პოდკორიტოვი, შუბინი (პოხლება), კანცუროვი, ჩოკმაროვი, ბიჩუცკი (ჟულკოვი).

მსაჯი ნ. მამედ-ზადე (კიროვაბადი).

ის-ის იყო, თბილისელთა ქომაგებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივდათ, — აქაოდა, რკინიგზელები ბოლოს და ბოლოს ათამაშდნენო, რომ ფრუნზელებთან მატჩმა მასპინძელთა გულშემატკივრებს გული გაუტეხა. მართალია, შეხვედრა თბილისელებმა მოიგეს, მაგრამ მთავარია — როგორი თამაშით იქნა მოპოვებული ეს 2 ქულა. ამ მხრივ კი თბილისელთა თამაშმა ერთობ უნუგეშო შთაბეჭდილება დატოვა.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ სტუმართა კარში მე-4 წუთზე დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო ძალიან უხეიროდ დაარტყა მაზიაშვილმა და უდოვიჩენკომ იოლად მოიგერია ბურთი. ამ ამბავს მასპინძლები თითქოს უნდა გამოეფხიზლებინა, მაგრამ მაყურებლები ამაოდ ელოდნენ თბილისელთა თამაშის გაუმჯობესებას. რკინიგზელთა შეტევები უსისტემოდ, შეჯგუფულად ვითარდებოდა და სტუმრებს დიდი ჯაფა არ დასდგომიათ ამ ქაოტური იერიშების უვნებელსაყოფად.

სამაგიეროდ, სტუმრების ეპიზოდური შეტევების დროს მაღალი ოსტატობის გამომჟღავნება მოუხდა მასპინძელთა მეკარე ბერიძეს. თბილისელები მას უნდა უმადლოდნენ, კარი ხელუხლებელი რომ დარჩა.

რკინიგზელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა ბერიძის თამაში სრულიად სამართლიანად უმაღლესი ნიშნით შეაფასა. ოთხიანები მიიღეს ძაგანიამ და შხვაცაბაიამ, დანარჩენების თამაში კი ორიანზე შეფასდა.

...გოლი მატჩის ბოლო წუთზე შხვაცაბაიას მიწოდებიდან გაიტანა ხუციშვილმა. მსაჯმა ვერც კი მოასწრო ცენტრიდან ბურთის თამაშში შეყვანა.

**ა. მხეიძე.**

II ჯგუფი „ა“ კლასი

II ზონა

9 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები II ზონის გუნდებს შორის.

ბათუმის დიხაძოელებმა კიროვაბადში მარცხი განიცადეს ადგილობრივ თანაკლუბელებთან შეხვედრაში—0:2. წააგო გორის „დილამაც“, რომელიც სუმგაითში ეთამაშებოდა იქაურ „ფოლადს“ — 1:2.

წინა ტურში „დილა“ მახაჩყალის „დინამოსთან“ დამარცხდა—0:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლესტერი, 9 აგვისტო. ადგილობრივ ტრეკზე მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მრბოლელმა ქალებმა: 8 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ვერცხლი და ოქრო თ. გარკუშინამ და რ. ობოდოვსკაიამ გაითამაშეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა 24 წლის გარკუშინამ (ტულა), რომელმაც დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია — 4.07,4. ვერცხლის მედალი ერგო ხარკოველ ობოდოვსკაიას — 4.09,78. III ადგილზეა ინგლისელი ბ. ბარტონი — 4.10,55. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა მოიგო შვეიცარიელმა ქ. კურმანმა — 4.58,56. II ადგილი დაიკავა ინგლისელმა ი. ჰელამმა, III — მინსკელმა ვ. ბიკოვმა.

● ვარშავა, 9 აგვისტო. პოლონეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში კვლავ ისახელა თავი ვარშაველმა სტუდენტმა ქალმა, 22 წლის ტ. სუკნევიჩმა: შეჯიბრების ბოლო დღეს 200 მეტრზე თარჯრბენში მან 25,8 წამი აჩვენა, რაც ავსტრალიელი პ. კილბორნისა და ა. იანსის (გდრ) მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია სამხტომელთა შეჯიბრებამ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სარბიელზე კვლავ გამოვიდა ორი ოლიმპიადის ჩემპიონი, 35 წლის ი. შმიდტი და გაიმარჯვა კიდეც — 16,53 მ. შუბის მტყორცნელთა შორის ყველას აჯობეს: დ. იავორსკამ (57,34) და ვ. ნიკიჩუკმა (83,14).

● ათენი, 9 აგვისტო. ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში გდრ-ის წარმომადგენელთა ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა: მათ შვიდივე ფინალურ გაცურვაში აჯობეს ყველას. აქ გამართულ შეჯიბრებაში 22 ქვეყნის ნიჩბოსნები მონაწილეობდნენ. საბჭოთა ჭაბუკები სტარტზე არ გამოსულან.

● ვარშავა, 9 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელიც მალე სსრ კავშირში იასპარეზებს, მოსკოვისკენ გზად აქ პოლონეთის ნაკრებთან გამართა მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 88.66 (44:32). აშშ-ს გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ მაკდანიელსი და მაკგინესი (20-20 ქულა), მასპინძელთა შორის კი იურკევიჩი (17).

● ვილიანდი, 9 აგვისტო. ესტონეთის ეს წარმტაცი ქალაქი სსრ კავშირის მოტომრბოლელთა ჩემპიონატის III ეტაპის სარბიელი გახდა. პირველობის IV ეტაპის შედეგების მიუხედავად (გაიმართება მომავალ შაბათ-კვირას ტალინში), გამოვლინდა ქვეყნის ოთხი ჩემპიონი: „350-ანების" კლასში ოქროს მედალი მოიხვეჭა ესტონელმა ი. რანდლამ, ამავე კლასის ნავიანი მოტოციკლებით ასპარეზობაში ყველას აჯობეს ასევე ესტონელებმა ვ. ჰელმმა და კ. ნეუპაუსმა, „175-ანებში" კი უძლიერესის სახელი მოიხვეჭა მოსკოველმა ბ. იუდინმა.

● ტაშკენტი, 9 აგვისტო. გდრ-ის, პოლონეთისა და სსრ კავშირის მთამსვლელებმა ერთობლივი ასვლა განახორციელეს ლენინის პიკზე (7134 მ). ამ ლაშქრობამ რეკორდი მოუტანა პოლონელ მთამსვლელ ქალს ს. შაიუკს: აქამდე პოლონელ მთამსვლელ ქალთა მიერ დაპყრობილი უმაღლესი მწვერვალი (6400 მ) ჰინდიყუში იყო, ახლა კი მათს აქტივში შვიდათასიანი შევიდა.

● ზაპოროჟიე, 9 აგვისტო. გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის 33-ე ჩემპიონატი ფარიკაობაში. სატრანსფორმატორო ქარხნის სპორტის სასახლის დარბაზში გამართულ ბრძოლაში პირველნი ხმლით მოფარიკავეები ჩაებნენ. გაჩაღდა ფინალის საზგურებისთვის მძაფრი ჭიდილი. და თუმცა ყველა მედლებზე ოცნებობს, აქ კიდევ ერთი საკითხი წყდება: ვინ მოხვდება ქვეყნის ნაკრებში, რომელსაც სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატში მოუწევს გამოსვლა. პირველ დღეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნაკრების მთავარმა პრეტენდენტებმა — მ. რაკიტამ, ვ. სიდიაკმა, ვ. ნაზლიმოვმა, ე. ვინოკუროვმა, უ. მავლიხანოვმა.



მოსკოვში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა მოტობურთში. ფინალურ ჯგუფში გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, „ტემპ-I" და „დუბნის" მოტობურთელები. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა.

სურათზე: ერთმანეთს ხვდებიან „ტემპ-I" და „დუბნა".

გ. ნიკიტინის ფოტო (ტას-ი).

# ვეღარ იცნობდით...

კრასნოდარი, 10 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ამასწინანდელ უნივერსიადაში კრასნოდარის ხელბურთელებთან თბილისელთა დამარცხება კოლექტივის ლიდერების ცერცვაძისა და ფხაკაძის არყოფნით ავხსენით. ამჯერად, სსრ კავშირის პირველობის მესამე წრეში, ლიდერები თავიანთი გუნდის ინტერესებს იცავდნენ პირველივე ტურში, რომელშიც სწორედ იმავე კრასნოდარელებთან მოუხდათ თამაში.

თბილისელთა შეტევების სული და გული ცერცვაძე და ფხაკაძე იყვნენ, რომლებმაც მასპინძელთა მეკარე აბაიშვილს ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინეს.

ცერცვაძემ 8 გოლი გაიტანა (3 პენალტით) და ეს მაშინ, როცა მას ძალიან მკაცრად დარაჯობდნენ — ცდილობდნენ გასაქანი არ მიეცათ. ბერიაშვილი შესახიშნავად შეურვეობდა კრასნოდარელ მაქსიმოვს. მაგრამ ჩვენს დაცვაში მაინც გუნდის კაპიტანი ექსეულიძე გამოირჩეოდა. 5-5 გოლი გაიტანეს ფხაკაძემ და ბერიაშვილმა, თითო — ექსეულიძემ, სხიერელმა, ფხალაძემ და ლაზარიდისმა. ხუციშვილმა სამი პენალტი მოიგერია.

მატჩის დასაწყისში მასპინძლები დაწინაურდნენ — 6:4, 10:8, 48-ე წუთზე კი თბილისელები იყვნენ წინ — 20:18. დარჩენილ დროში მეტოქენი თავგამოდებით იბრძოდნენ და ერთი გოლით ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა შეხვედრის დასასრული: საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე ანგარიში 22:22 გახლდათ. და ამ 4 წუთიდან სამნახევარ წუთს ბურთი თბილისელებს ეჭირათ, მაგრამ გადამწყვეტი ტყორცნა ვერ გაბედეს.

მატჩი მეტად კორექტულად ჩატარდა, რაც რიგელი მსაჯების კიზილიუსისა და ვიტოლსის დამსახურებაა.

მეორე ტურში თბილისელები „კუნცევოს" (მოსკოვი) ეთამაშებოდნენ, მაგრამ ამ დღეს მათ ვეღარ იცნობდით: პირდაპირ ვერ გაარკვევდით, ვინ რა სქემით თამაშობდა. განსაკუთრებით ცუდად ჩაატარეს ჩვენებმა პირველი ტაიმი. მართალია, შესვენების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ პირველი ტაიმის ექვსგოლიანი სხვაობა უცვლელი დარჩა — 15:21.

თბილისელთაგან გოლები გაიტანეს: ცერცვაძემ — 6, ფხაკაძემ — 4, სხიერელმა — 2, ექსეულიძემ, ბერიაშვილმა და ხანჩიკაშვილმა — თითო.

ჯ. ენუქიძე.

**ტექნიკური შედეგები.**

**პირველი ტური.** „კუნცევო" (მოსკოვი) — „სტრაუმე" (რიგა) 15:15 (4:7), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ცსკა 19:19 (11:10), „ზმეტ-ი" — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 12:11 (4:4); **მეორე ტური.** ცსკა — „ალუმინსტროი" 13:18 (5:10), საავიაციო ინსტიტუტი — „ზმეტ-ი" 18:24 (12:12), „სტრაუმე" — „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) 13:29 (5:3),

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.) | 16 | 12 | 3 | 1 | 343—297 | 27 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 16 | 11 | 3 | 2 | 285—243 | 25 |
| „უნივერსიტეტი" კრასნოდარი) | 16 | 10 | 1 | 5 | 316—297 | 21 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 16 | 5 | 4 | 7 | 287—289 | 14 |
| ცსკა | 16 | 4 | 4 | 8 | 281—308 | 12 |
| „ზმეტ-ი" (ზაპოროჟიე) | 16 | 5 | 2 | 9 | 257—263 | 12 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 16 | 4 | 1 | 11 | 245—265 | 9 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 16 | 3 | 2 | 11 | 263—215 | 8 |

**✦ ზესტაფონი**

მე-13 სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდობამ საკუთარი ძალით დაიწყო სპორტბაზების მოწყობა. ფიზიკურ კულტურას აქ საერთოდ პატივსა სცემენ: ეწყობა ლაშქრობები და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. ზაფხულის პერიოდში ექსკურსიებს აწყობენ, აგრეთვე, ფეროშენადნობთა ქარხნის მე-2 საამქროს ფიზკულტურელები. ახლახან საამქროს მუშა-მოსამსახურეები ვარძიაში იყვნენ.

ა. განუგრავა.

**✦ საგარეჯო**

მოეწყო „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ადგილობრივი სპორტსმენების გარდა სარბიელზე გამოვიდნენ გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის, ბოლნისის, წითელი წყაროსა და ახმეტის რაიონების ნაკრები კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. საგარეჯო, 2. თელავი, 3. ლაგოდეხი. წონითი კატეგორიების მიხედვით ყველას აჯობეს: კ. ჯავახიშვილმა (საგარეჯო), ბ. ალხაზოვმა (ლაგოდეხი), ბ. ტერტერაშვილმა, ა. კუპატაძემ, რ. ყორღახაშვილმა, მ. ელერდაშვილმა (ყველა — საგარეჯო), მ. ნარეკლიშვილმა (ყვარელი), დ. რევაზიშვილმა (საგარეჯო).

ნ. ყალაბეგიშვილი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი.

# პირველი თანრიგის დონეზე

ლიპეცკი. ადგილობრივმა ტრესტმა „ჟილსტროიმ" ჩაატარა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. ეს კოლექტივი ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია ქალაქში. შრომის ადამიანებმა, რომლებიც წარმატებით იღვწიან ლიპეცკის სხვადასხვა რაიონში, ფიზკულტურული საქმიანობაც მყარ ნიადაგზე დააყენეს.

ერთ-ერთი აქტიური სპორტული ორგანიზატორთაგანია ა. ზობოვი — მე-2 სამშენებლო სამმართველოს ფიზკულტურელთა საზოგადოებრივი ხელმძღვანელი. მან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ჩამოაყალიბა ფრენბურთის, კალათბურთის, რიკაობის, სროლისა და მძლეოსნობის სექციები. საერთო საცხოვრებლების გვერდით აშენდა მოედნები წვრთნისა და შეჯიბრებებისთვის. მუშა-მოსამსახურეთა შორის მოხალისე მწვრთნელებიც გამოჩნდნენ.

„ფიზკულტურელები, როგორც წესი, წარმოებაშიც მოწინავენი არიან, — განაცხადა ტრესტის გაერთიანებული სპორტული კოლექტივის თავმჯდომარემ ა. გლადიშევმა. — მაგალითად, მებათქაშე ა. ჩერკაშინი და მღებავი ნ. ლესნუხინი პირველთანრიგოსნებიც არიან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი თანრიგის დონეზე მუშაობენ — ყოველდღიურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ".

# ახალი აუზი

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 8 აგვისტო. ბორცვ „ზერკალნაიას" ძირში ფიზკულტურელის საკავშირო დღისთვის სპორტის სასახლე გაიხსნა. საბჭოთა ქვეყნის ყველაზე შორეული ქალაქის მცხოვრებთა განკარგულებაშია სათამაშო და ტანვარჯიშული დარბაზები, 25-მეტრიანი საცურაო აუზი.

მიუხედავად იმისა, რომ პეტროპავლოვსკი წყნარი ოკეანის ნაპირზე მდებარეობს, წყლის დაბალი ტემპერატურის გამო აქ ზაფხულობითაც კი მხოლოდ „ლომვეშაპები" ბანაობენ. ახლა კი პეტროპავლოვსკელებს საშუალება ექნებათ ცურვას მთელი წლის განმავლობაში დაეწაფონ. აუზზე იქმნება ცურვის შემსწავლელი ჯგუფები, სექციები და ჯანმრთელობის ჯგუფები.

სპორტის სასახლის აგებაში მშენებლებთან ერთად მეთევზეები, გემშემკეთებლები და მეზღვაურებიც მონაწილეობდნენ.

# ინტერნაციონალური მეგობრობის თასზე

ვლადივოსტოკი. „შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ყველა ქვეყნის გემების, უცხოური კომპანიების, კოლეჯებისა და უმაღლესი სკოლების მსმენელების, დოკერებისა და ნავსადგურის სხვა მუშათა გუნდები", — იუწყება ინტერნაციონალური მეგობრობის თასის გათამაშების დებულება. ახალი პრიზი დაწესებულია ვლადივოსტოკის „ვოდნიკის" საუზო საბჭოს მიერ.

მეზღვაურთა შორის პოპულარული გახდა ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა, მოცურავეთა, კალათბურთელთა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა შეჯიბრებები, სადაც გამარჯვებისთვის გუნდს ერიცხება 3 ქულა, ხოლო წაგებისთვის — 1 (ფრე 2 ქულას ნიშნავს). ამჟამად მიმდინარე ასპარეზობაში 220 გემის ეკიპაჟი მონაწილეობს, მათ შორის, 83 — უცხოურისა. უკვე ჩატარდა 600-მდე შეჯიბრება. წყნარი, ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეების აკვატორიუმებიდან სულ ახალ-ახალი ცნობები მოდის მეგობრული სპორტული შეხვედრების შესახებ.

შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიან საბჭოთა თბომავლების „ომსკისა" და „ხაბაროვსკის", აგრეთვე რამდენიმე იაპონური გემის ეკიპაჟები. კარგი შედეგები აქვთ ბულგარეთის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მეზღვაურებსაც.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 81 უე 05706